


სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში



სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ არსებით ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომელთა დემონსტრირების საშუალებაც აქვთ კურსდამთავრებულებს პროგრამის დასრულების შემდეგ. **სამართლის საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეფასებადია, ე.ი. შესაძლებელია სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შემოწმება.

იმისათვის, რომ სტუდენტმა მიაღწიოს მისთვის სასურველ შედეგს გონივრულად ეფექტიანი გზით, პროფესორის ფუნდამენტური ამოცანაა ჩართოს სტუდენტი ისეთ სასწავლო აქტივობებში, რომელიც მას ასეთ შედეგთან მიიყვანს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია გარკვეული სახის შეფასების ინსტრუმენტი ან ტექნიკა, რათა განვსაზღვროთ, თუ რა ზომით მიაღწიეს სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგებს. არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები და მექანიზმები. პირდაპირი შეფასების ერთ-ერთ მეთოდს პროგრამის დამამთავრებელ ეტაპზე ითვლება საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულება და მიღებული შეფასება, აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი (ე .წ. GPA), ჩვეულებრივი ან წარჩინებით დიპლომის გაცემა, სტუდენტის პორტფოლიო და სხვა. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია დამსაქმებლების გამოკითხვები, შედარება მსგავს ინსტიტუციებთან, კურსდამთავრებულების გამოკითხვა, კურიკულუმის ანალიზი და სხვ.


სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მნიშვნელოვანი როლია ზოგადად პროგრამის შეფასების და მისი შემდგომი განვითარების/მოდულიზაციის კუთხით და გულისხმობს:

- 1) პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობრივ მაჩვენებლებს (ცხრილი 1).
- 2) პროგრამის კურსდამთავრებულთა თვისებრივ მაჩვენებლებს (ცხრილი 2).
- 3) პროგრამის კურსდამთავრებულთა სამეცნიერო დასაქმების მაჩვენებელს (განათლების შემდგომ საფეხურებზე ანალოგიური სპეციალობით სწავლის გაგრძელება იმავე ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში) (ცხრილი 3).
- 4) პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ცხრილი 4).


ყოველწლიურად პროგრამის დასრულების შემდგომ შესაძლებელია პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების დადგენა, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულთა სამეცნიერო დასაქმების მაჩვენებლების პერიოდული ანალიზი (განათლების შემდგომ საფეხურებზე ანალოგიური სპეციალობით სწავლის გაგრძელება). პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განახორციელა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და კარიერული წინსვლისა და სტუდენტთა მხარდაჭერის განყოფილებამ ერთობლივად.

1) კურსდამთავრებულთა რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასება გულისხმობს პროგრამიდან „განთესვის“ მაჩვენებელს, სტუდენტთა პროგრესია/რეგრესიას, ანუ ჩარიცხვიდან დამთავრებამდე სტუდენტთა რაოდენობას, შეიცვალა თუ არა ეს რაოდენობა, შემცირდა ან პირიქით მოხდა რაოდენობის გაზრდა გარე და შიდა მობილობის მაჩვენებლებით, სტუდენტთა სტატუსის აღდგენის/შეჩერების/შეწყვეტის საფუძველზე ან პირიქით უცხო ქვეყნის მოქალაქის ჩარიცხვის შედეგად.

ცხრილი 1- სამართლის საბაკალავრო პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები



ცხრილი 1.1.გაგრძელება



პირველი ინდიკატორის შეფასების დასკვნა/ანალიზი:

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე 2013-2017 სასწავლო წლებში ჩარიცხულთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობა განსხვავდება, სახეზეა სტუდენტთა „განთესვა“ და კლებულობს ორი მიზეზით: გარე მობილობისა და სტუდენტთა სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის გამო.


პროგრამის შედეგების გაუმჯობესების მიზნით საჭიროა პროგრამაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის ინტენსიური გამოკითხვების ჩატარების გაგრძელება, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, დასაქმების ხელშეწყობა, დამსაქმებლებთან მეტი და მჭიდრო კავშირის დამყარება, პროგრამის მოდიფიცირება, უფრო მეტი პრაქტიკული უნარების განვითარებისა და სტაჟირების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და უახლესი სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა, პროგრამის საერთაშორისო ასპექტის და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების დანერგვა, უცხოელი პარტნიორების მოზიდვა, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა, დაფინანსება საერთაშორისო პუბლიკაციების გამოცემისა და კვლევებში მონაწილეობის მიზნით.


ინდიკატორი 2

კურსდამთავრებულთა თვისებრივი მაჩვენებლები

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა თვისებრივი მაჩვენებლების შეფასება გულისხმობს კურსდამთავრებულთა მაღალი, საშუალო ან დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელს და მიღებულ საბოლოო შეფასებას (51-100 ქულამდე- A,B,C,D,E) საბაკალავრო ნაშრომის დაცვის, კვალიფიკაციის მინიჭების დროს, ე.წ. GPA-ს, გაცემული წარჩინებით და ჩვეულებრივი დიპლომების რაოდენობას. ყოველივე ეს აისახება დიაგრამის სახით და პროცენტულად.

ცხრილი 2.1 პროგრამის კურსდამთავრებულთა თვისებრივი მაჩვენებლები (საბოლოო შეფასება (51-100 ქულამდე- A,B,C,D,E).





მეორე ინდიკატორის შეფასების ანალიზი/დასკვნა:

სამართლის საბაკლავრო პროგრამის 2013-2017 სასწავლო წლებში კურსდამთავრებულთა თვისებრივი მაჩვენებლები მდგომარეობს შემდეგში:

2013 წელს-დომინირებს B შეფასება 38,9 %, მეორე ადგილზეა- D შეფასება 30,6 %, მესამე ადგილზეა C შეფასება-19,4 %, მეოთხე ადგილს ინაწილებენ A და E შეფასება-5,56 %.

2014 წელს-დომინირებს D შეფასება 54,4%, მეორე ადგილზეა- C შეფასება 26,3%, მესამე ადგილზეა E შეფასება- 14%, მეოთხე ადგილზეა B შეფასება-5,26 %. A შეფასება წარმოდგენილი არ არის.

2015 წელს-ერთნაირი პროცენტული მაჩვენებლები აქვს D და E შეფასებას 43,48%, მესამე ადგილზეა- B შეფასება 12,04 %, A და C შეფასება წარმოდგენილი არ არის.

2016 წელს-ერთნაირი პროცენტული მაჩვენებლები აქვს D და E შეფასებას 37,5 %, მესამე ადგილზეა- C შეფასება 25 %, A და B შეფასება წარმოდგენილი არ არის.

2017 წელს-დომინირებს D შეფასება 44,4%, მეორე ადგილზეა- C შეფასება 22,2 %, მესამე ადგილზეა ერთნაირი პროცენტულობით B და E შეფასება- 16,7%. A შეფასება წარმოდგენილი არ არის.

წარჩინებით და ჩვეულებრივი დიპლომების მაჩვენებლებით ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ 2013 წელს ორმა სტუდენტმა აიღო წარჩინებით დიპლომი, დანარჩენმა სტუდენტებმა აიღეს ჩვეულებრივი დიპლომი.

ეს ინდიკატორი სასწავლო პროცესის შეფასების შემადგენელი ნაწილია და მოიცავს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, ამ შემთხვევაში შემაჯამებელ აკადემიურ მოსწრებას. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგად და კონკრეტული შედეგების მიხედვით დგინდება:

- ა) სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის და ცალკეული საგნების სირთულის ხარისხი და დონე;
- ბ) შეფასებისას გამოყენებული სწავლა/სწავლების/შეფასების მეთოდების ადეკვატურობა;

გ) პროგრამაში ჩართული პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევები;

დ) სტუდენტების მომზადების დონე.

მასასადამე, სამართლის საბაკალავრო პროგრამა საჭიროებს მოდიფიცირებას, ცალკეული საგნების დონეზე მაინც, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგმა და ანალიზმა უნდა მიიღოს უფრო სისტემატური ხასიათი, ყოველსემესტრული, თითოეული სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტის მიერ მოხდეს რეგულარულად სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, რის შედეგად გაიკვევა, თუ რატომ არის კურსდამთავრებულთა საბოლოო შედეგები საშუალო ან საშუალოზე დაბალი.


ინდიკატორი 3

პროგრამის კურსდამთავრებულთა სამეცნიერო დასაქმების მაჩვენებელი (განათლების შემდგომ საფეხურებზე - მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სამართლის მიმართულებით სწავლის გაგრძელება)

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა სამეცნიერო დასაქმების (განათლების შემდგომ საფეხურებზე - მაგისტრატურა/დოქტორანტურაში სამართლის მიმართულებით სწავლის გაგრძელება) მაჩვენებელი ასევე მნიშვნელოვანი ინდიკატორია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის და ეს ინდიკატორი კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამას და წარმოაჩენს მის ძლიერ მხარეს, თუ კურსდამთავრებულმა გააგრძელა სწავლა ანალოგიური სპეციალობით ცოდნის გარღრმავების მიზნით ამავე უნივერსიტეტში (ასეთი პროგრამების არსებობის შემთხვევაში) ან აგრძელებს სწავლას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ანალოგიურ პროგრამაზე, რაც კურსდამთავრებულის მოტივაციის ზრდის მაჩვენებელია, მნიშვნელოვანია იურიდიული განათლების უწყვეტ რეჟიმში (მთელი ცხოვრების მანძილზე) მისაღებად და მიიჩნევა პროგრამის ძლიერ მხარედ. ბოლო 5 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი დაამთავრა სულ 147 სტუდენტმა, აქედან 2 -სწავლობს დოქტორანტურაში სამართლის მიმართულებით, 41 სწავლობს მაგისტრატურაში სხვადასხვა უნივერსიტეტებში, ხოლო დანარჩენი ეძებს სამსახურს. ყოველივე ეს ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 3- პროგრამის კურსდამთავრებულთა სამეცნიერო დასაქმების მაჩვენებელი (განათლების შემდგომ საფეხურებზე - მაგისტრატურა/დოქტორანტურაში სამართლის მიმართულებით სწავლის გაგრძელება)

სამეცნიერო დასაქმება ბოლო 5 წლის განმავლობაში



4. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (სამართლის ბაკალავრი) ბოლო 5 წლის განმავლობაში

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია პროგრამის შედეგების შეფასების კუთხით. ამ პროცესის მუდმივ დაკვირვებას ახორციელებს უნივერსიტეტში არსებული კარიერული წინსვლისა და სტუდენტთა მხარდაჭერის განყოფილება, და ამ პროცესებს მონიტორინგს უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ამ განყოფილებას აქვს მჭიდრო და დაგეგმილი კოორდინაცია პოტენციურ დამსაქმებლებთან, სტუდენტების უშუალო ჩართულობით. იგი განსაზღვრავს სამიზნე აუდიტორიას, პოტენციური დამსაქმებლების სეგმენტურად დაყოფას, უზრუნველყოფს კარიერული პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, დამსაქმებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი კანდიდატურების შერჩევასა და შეხვედრების დაგეგმვას, დამსაქმებელთან სტუდენტთა უშუალო კონტაქტის უზრუნველყოფას. უნივერსიტეტი ქმნის კურსდამთავრებულთა ერთიან ბაზას, ატარებს სისტემატურ გამოკითხვებს, აწვდის ინფორმაციას არსებული ვაკანსიების შესახებ და იგებს ინფორმაციას უკვე დასაქმებული კურსდამთავრებულების შესახებ. კარიერული წინსვლისა და სტუდენტთა მხარდაჭერის განყოფილებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულმა კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგებმა აჩვენა შემდეგი სურათი: გამოიკვეთა დასაქმებულები მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად, სხვა სპეციალობით დასაქმებულები, ჯერ-ჯერობით დაუსაქმებელი კურსდამთავრებულები.

გამოკითხული რესპონდენტების 34 კურსდამთავრებულიდან 76,5% დასაქმებულია. ამასთან ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დასაქმდა გამოკითხულთა 8,8%, სწავლის დასრულებისთანავე დასაქმდა 11,8%, სწავლის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში

დასაქმდა 17,6%, იგივე რაოდენობა დასაქმდა სწავლის დასრულებიდან 2-3 წლის განმავლობაში. ხოლო 20.6% დასაქმდა სწავლის დასრულებიდან 4-5 წლის განმავლობაში. ამსათან დასაქმებულთა 100% დასაქმებულია სრულ შტატზე. მათგან ვინც არაა დასაქმებული, ნაწილი აგრძელებს სწავლას (2 რესპონდენტი), ნაწილი ოჯახში საქმიანობს (2 რესპონდენტი), დანარჩენი 4 კი ეძებს სამსახურს.

ცხრილი 4-პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები შრომის ბაზარზე

